პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 აპრილი სამშაბათი 1974

ფასი 2. კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 89 (15910)

ეროვნული განმანთავისუფლებელი ომი-დიადი გამარჯვებული

ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი ს მ შ რ ო მ ე ლ ე ბ ო ! ი ბ რ ძ ო ლ ე თ შ რ ო მ ი ს მ ა ღ ა ლ ი ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ა დ ა ფ ა რ მ ო ე ბ ი ს ე ფ ე ქ ტ ი ა ნ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს , ე ცა დ ე თ გ ა მ ო უ შ ვ ა თ მ ე ტ ი , უ კ ე თ ე ს ი ხ ა რ ი ს ხ ი ს პ რ ო დ უ ქ ც ი ა ნ ა კ ლ ე ბ ი დ ა ნ ა ხ ა რ ჯ ე ბ ი თ ! ი ბ რ ძ ო ლ ე თ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს გ ე გ მ ე ბ ი ს ა დ ა ნ ა კ ი ს რ ი ვ ა ლ დ ებ უ ლ ე ბ ებ ს ვ ა დ ა მ დ ე შ ე ს რ უ ლ ებ ი ს ა თ ვ ი ს !

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკირველმაისო მოწოდებებიდან.

კომუნისტები საარჩევნო კამპანიაში

PRAVDA *15 აპრილის მოწინავე*

მთელ ჩვენს ქვეყანაში ამ დღეებში ფართოდ დაიწყო მზადება სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. გაიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა, რომელმაც დასახა მუშაობის გეგმა და დაადგინა საარჩევნო დოკუმენტების ფორმები. შეიქმნა და მოვალეობათა შესრულებას შეუდგნენ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური და საოლქო საარჩევნო კომისიები.

მომავალი არჩევნები დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასა და გაღრმავებაში. არჩევნების წარმატებულ მოწყობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი განვითარებისათვის.

ისევე როგორც წინათ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტური პარტია უპარტიოებთან ერთიანი კავშირით გამოდის. ამ ურღვევი ბლოკის სახელით საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი რიგებიდან უნდა დაასახელონ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ყველაზე ავტორიტეტიანი და კომუნიზმის საქმის ერთგული წარმომადგენლები.

დაწყებული საარჩევნო კამპანია პარტიულ ორგანიზაციებს დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს. საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანოებთან ერთად ისინი მოწოდებული არიან უზრუნველყონ არჩევნებისათვის ზუსტი ორგანიზაციული მზადება, გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შრომითს კოლექტივებში და ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილზე, ეფექტიანად გამოიყენონ იდეური გავლენის ყველა ფორმა და საშუალება.

წინასაარჩევნო პროპაგანდისა და აგიტაციის მთავარი შინაარსი ის უნდა იყოს, რომ ფრმად განმარტონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა, ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, დებულებანი და დასკვნები, რომლებიც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოაყალიბა გამოსვლებში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და ალმა-ათაში გამართულ საზეიმო სხდომაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, აგრეთვე საშეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები, რომლებიც ამ დოკუმენტებიდან გამომდინარეობენ.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილი ოთხი წელი, ალბათ, იყო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით. სრულებს რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელმაც თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური მშენებლობის გზები განსაზღვრა, საბჭოთა ხალხმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია პარტიის სოციალურ-ეკონომიური და საგარეოპოლიტიკური პროგრამების, მეცხრე ხუთწლედის გეგმის შესრულებაში. ლენინური ეროვნული პოლიტიკის გაძარჯვების, სოციალისტური ერთა და ეროვნებათა ხულ უფრო მტკიცე მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია იყო სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსსაწაული. პარტიის XXIV ყრილობაზე დასახული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციამ უზრუნველყო შემობრუნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ და მშვიდობისა და თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ. ამომრჩევლებთან მუშაობის დროს მკაფიოდ და დამაჯერებლად უნდა გავაშუქოთ ამ მოვლენათა მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის და მთელი მხოფლიოს ცხოვრებაში. კონკრეტული მაგალითებით უნდა ვაჩვენოთ ჩვენი წარმატებების სიდიადე, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის როლი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

პროპაგანდისტთა, პოლიტინფორმატორთა და აგიტატორთა მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა საბჭოთა ცხოვრების წესის, მის მორალურ და სულიერ ღირებულებათა, სოციალისტური დემოკრატიის დიად უპირატესობათა, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დაუძლეველი ძალის პროპაგანდის გაძლიერება. ჩვენი პარტიის თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობის მნიშვნელობის აღნიშვნასთან ერთად საფუძვლიანად უნდა განვუმარტოთ ამომრჩევლებს მისი ხელმძღვანელი როლის გაძლიერება კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გართულებასთან დაკავშირებით და ამასთანავე საბჭოების, პროფკავშირების, კომკავშირის, მშრომელთა ყველა მასობრივი ორგანიზაციის როლის ამაღლება ხახელმწიფოს, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უფრო ფაფრთოვდეს გავაცნოთ ამომრჩევლებს, განსაკუთრებით ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებიც პირველად მონაწილეობენ საარჩევნოში, საარჩევნო კანონი, ღრმად განვუმარტოთ მოქალაქეობრივი უფლებამოვალეობანი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, უკანასკნელი წლების მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, არჩევნებისათვის მზადების დროს უნარიანად უნდა გამოიყენონ ზეპირი აგიტაცია და პროპაგანდა, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება, კინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. რეგულარული მოხსენებები და ლექციები, საუბრები და პოლიტინფორმაციები, კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები, თემატური საღამოები საშუალებას მოგვცემენ უფრო წარმატებით გადაეწყვიტოთ ამოცანები, რომლებსაც საარჩევნო კამპანია აყენებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების, წარმოების ნოვატორების გამოსვლების ორგანიზაციას, აგრეთვე დეპუტატებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ანგარიშგებას, ამომრჩეველთა წინაშე. ხრულად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი პრეხის, ტელევიზიისა და რადიოს ფართო შესაძლებლობანი.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა ვიზრუნოთ იმაზე, რომ გავაფართოოთ და განვამტკიცოთ პოლიტინფორმატორთა, აგიტატორთა შემადგენლობა ამომრჩეველთა კლუბებში, აგიტპუნქტებში და აგიტმოედნებზე მუშაობისათვის, უზრუნველყოთ პოლიტიკური მუშაობის ყველა ცენტრი ლიტერატურით, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებით, რადიო და ტელემიმღებებით. პარტორგანიზაციათა მოვალეობაა ამომწურავი პასუხი გასცენ შრომელთა ყველა კითხვაზე, გულისხმიერებით ყურად იღონ მათი აზრი, დროზე განახორციელონ ღონისძიებანი კრიტიკულ შენიშვნათა და წინადადებათა შესრულებისათვის. იყოს შეურიგებელნი ბიუროკრატიზმის უმცირესი გამოვლინებისადმი.

ტრადიციისამებრ საბჭოთა ადამიანები ისწრაფვიან არჩევნების დღეს შეხვდნენ ახალი შრომითი მიღწევებით, ყველა ფორმის იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობით უნდა განვამტკიცოთ მახლის შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, წარმართოთ მათი მეცადინეობა ამისათვის. რომ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე, განსაზღვრული წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

— საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! — კვიზმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სპპირველმაისო მოწოდება. — აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში! ავირჩიოთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საბჭოთა ხალხის სუფეთესო შვილები, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენლები!

კომკავშირის ყრილობის დელეგატი



შპან დარჩა სკოლაში გატარებული წლები. ნინო შიშინაშვილმა წარმატებით ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლაში. მან მეჩსოველად გახდომა გადაწყვიტა და წყალტუბოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს № 1 კომბინატში დაიწყო მუშაობა. პირველად ძალიან გაუჭირდა. საქმოვი დაზგა არ ემორჩილებოდა ახალბედას. სწორედ მაშინ დახმარება მას კომბინატის მოწინავე მუშა ნანა თამაშაძე. მისი ხელმძღვანელობით, თავისი შრომისმოყვარეობით ნინო შიშინაშვილმა მიზანს მიაღწია. გადიოდა დრო, იგი სულ უფრო მეტად ეუფლებოდა თავის პროფესიას. ყოველთვიურად იზრდებოდა გეგმის ზევით გამოშვებული ქსოვილის რაოდენობა.

ნინო შიშინაშვილი აქტიურად მონაწილეობს კომბინატის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მოწინავე მუშა მეცადინეობისაგან პოულობს დროს. იგი ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება. მოწინავე მუშა, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი სრულიად საკავშირო სკკპ XVII ყრილობის დელეგატად არის არჩეული.

სურათზე: ნინო შიშინაშვილი.

გ. გერასიმის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა დელეგაცია ვარშავაში გაემგზავრა

15 აპრილს მოსკოვიდან ვარშავაში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირის მუშაობაში მონაწილეობისათვის გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პანომარევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პანომარევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი.

დელეგაციასთან ერთად გაემგზავრნენ მრჩევლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბელატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეები მოსდგილე ბ. ხ. შახნაზაროვი და სხვები.

ბელორუსიის ვაგზალში დელეგაცია გაეცილნენ ამხანაგებმა ი. ვ. ანდროპოვმა, ა. ა. გრეჩკომ, ვ. ვ. გრიშინმა, ო. დ. კულაკოვმა, ა. ტ. მაზუროვმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ხ. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ვ. ნ. დემიჩევმა, მ. ხ. სოლომენცევმა, დ. თ. უსტინოვმა, ვ. ი. დონგიზოვმა, ი. ვ. პაპიტონოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა პ. ა. აბრასიმოვმა, ბ. პ. გეშნევმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა, გ. ა. ფედორეევმა, ნ. ა. ზენილოვიმ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა ა. მ. ფოგოლევიჩმა, ო. ბ. რასმარინმა, მ. ხ. ხმირიტაშვილმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

გამცილებელთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ზ. ნოვაკი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დელეგაციას ვარშავაში შეეერთდება. (საქდისი).

ა. ნ. კოსიგინი შეხვდა ფამ ვან დონგსა და ნგუენ ზუი ჩინს

15 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი** შეხვდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს **ფამ ვან დონგსა** და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს **ნგუენ ზუი ჩინს**, რომლებიც გაგლით არიან მოსკოვში.

საუბრის დროს **ფამ ვან დონგი** შეეხო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ვიზიტებს კუბაში, ალჟირში, ეთიოპიასა და ზ ვიციაში, ხაზი გაუსვა ამ ვიზიტების დიდ მნიშვნელობას, აღნიშნულ სახელმწიფოებთან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საკითხებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის თანამშრომლობას სხვადასხვა დარგში და ვიეტნამის მდგომარეობას, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე.

(საქდისი).

ჰაფეზ ასადი ეწვიოგა უზგეკეთს

ტაშკენტი, 15 აპრილი. (საქდისი). დღეს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაზეფ ასადი და სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, რომელსაც იგი მეთაურობს, შეხვედნენ უზბეკეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს.

მეგობრული საუბრის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა ჰაფეზ ასადსა და სხვა სირიელ სტუმრებს უამბო წარმატებებზე, რომლებიც უზბეკეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ მოიპოვეს კომუნისტურ შენებლობაში, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. უზბეკეთის სსრ და რესპუბლიკის კომპარტიის 50 წლისთავის ღირსულად შეხვედრისათვის შეჯიბრებაში.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირში

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროომ და ცეკავშირმა 1974 წლის 15 აპრილიდან მოაწყეს ზოგიერთი სახეობის შეკერილი ნაწარმის, ფეხსაცმლის, ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილეულობის გაყიდვა დაკლებულ ფასად.

აღნიშნული საქონელი იყიდება სპეციალიზებულ მაღაზიებში, სექციებში, განყოფილებებში, ბაზრობებზე და პავილიონებში. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

გავზარდოთ კარგოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დამზადება, გავაუმჯობესოთ მათი ვაჭრობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი 1974 წელს კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დამზადების ზრდისა და ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ერთობლივად მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის სოფლის, საქალაქო კომიტეტმა და რაიკომებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მოსახლეობის კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით მომარაგების გაუმჯობესებისათვის.

წარმატებით შეასრულეს ბოსტნეულის, ხილისა და კარტოფილის წარმოება-დამზადების დაკვლებანი მარნეულის (პარტიის რაიკომის მდივანი დ. მაღალაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე მ. ყულიევი), გორის, (პარტიის რაიკომის მდივანი ჯ. პატიაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ვ. კვაციშვილი), ბოლნისის (პარტიის რაიკომის მდივანი რ. გიორგაძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე მ. ალიევი), თეთრი წყაროს (პარტიის რაიკომის მდივანი ი. გონაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ვ. ელაქაძე), ხაშურის (პარტიის რაიკომის მდივანი ბ. მახარაშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ო. ხაჯაველაძე), კასპის (პარტიის რაიკომის მდივანი ლ. ისაკაძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე გ. გოგიაშვილი,), ვანის (პარტიის რაიკომის მდივანი გ. კვანტალიანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ი. დვალიშვილი), ქარელის (პარტიის რაიკომის მდივანი გ. ბაღრიშვილი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე რ. ბაბლაძე). მეცხოთის (რაიაღმასკომის თავმჯდომარე ე. რომელაშვილი) და სხვა რაიონების მშრომელებმა.

მნიშვნელოვნად გაეუმჯობესა ქალაქების თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მომარაგება საქართველოს სსრ სახმინისტროს მეურნეობების სამინისტროს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა (ტრესტის მმართველი ა. მგელაძე). დადებითს შედეგებს მიაღწიეს მუშაობაში შემდეგმა საბჭოთა მეურნეობებმა: გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის (დირექტორი ი. ვარდაანშვილი, პარტიომის მბრეველი გ. ობაიძე), მარნეულის რაიონის არაფლის მებოსტნეობა-მერძეველობის (დირექტორი ა. კოკაეკი, პარტკომის მდივანი გ. მეხრალიევი), ბოლნისის რაიონის არახლოს მეკარტოფილეობის (დირექტორი მ. ვადაკკორია, პარტკომის მდივანი მ. მუსტაფაევი), კასპის რაიონის კოდისწყაროს მეხილეობის (დირექტორი ა. ხორბალაძე, პარტკომის მდივანი გ. გოჩოშვილი), ქარელის რაიონის რუხის მეხილეობის (დირექტორი დ. ეგნატაშვილი, პარტკომის მდივანი ა. ბალიაშვილი) საბჭოთა მეურნეობებმა. წარმატებით შეასრულეს დავალებანი გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. სუხიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ი. გელაშვილი), ხაშურის რაიონის სოფელ წრომის (თავმჯდომარე გ. ზუბითიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ი. ჯეირანაშვილი), კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის (თავმჯდომარე უ. ქერეფიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ფეიქრიშვილი) კოლმეურნეობებმა.

1973 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დაამზადეს 183,9 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც 28.3 ათასი ტონით მეტია, ვიდრე, 1972 წელს. მოსახლეობას მიეყიდეს 62 ათასი ტონა კარტოფილი და 86 ათასი ტონა ბოსტნეული, რაც შესაბამისად 11 და 34 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. ბოსტნეულის გაყიდვა ქალაქ თბილისში 65 პროცენტით გაიზარდა.

კარტოფილისა და ბოსტნეულის მარაგის შექმნამ განაპირობა ამ პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და შესაბამისი ზემოქმედება მოახდინა საკოლმეურნეო ბაზრის ფასების კონიუნქტურაზე, ამასთან დადებითი გაეკონა იქონია მშრომელთა მიეკერეზე. 1974 წლის მარტის დამდეგს ქალაქ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში ფასები გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაკლები იყო: კარტოფილისა — 43 პროცენტით (40 კაპიკი კილოგრამში 70 კაპიკის ნაცვლად), ხახვი — 50 პროცენტით (შესაბამისად 1 მანეთი და 50 კაპიკი), ახალი კომბოსტო — 50 პროცენტით (60 კაპიკი და 30 კაპიკი). კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის სახელმწიფო ვაჭრობის მეშვეობით რეალიზაციისა და საკოლმეურნეო ბაზრის ფასების შემცირების შედეგად რესპუბლიკის მოსახლეობამ ამ პროდუქტების ყიდვისას მილიონობით მანეთი დაზოგა.

ამასთანავე კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ორსეზეთად ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმით დასახულ მოცულობას და ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებას. მცირეა ხილისა და ბოსტნეულის მოსავლიანობა. 1973 წელს ბოსტნეულს საშუალო პექტარობრივმა მოსავლიანობამ რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული 118.3 ცენტნერის ნაცვლად შეადგინა 88, კარტოფილისამ კი 80 ცენტნერი საგეგმო 118-ის ნაცვლად.

კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ჯერ კიდევ ნაკლებად უთმობენ ყურადღებას დაგეგმილი ასორტიმენტის ხილ-ბოსტნეულის წარმოებას, ამის შედეგად სისტემატურად ირღვევა ასორტიმენტის გეგმა და იფუშება კიტრის, ნიერის, სტაფილოს, ბაღრიჯნისა და მწვანილის დამზადება.

საკმარისი ღონისძიებანი არ ხორციელდება საადრეო ბოსტნეულის წარმოების გასაადიდებლად, ნელი ტემპით წარმოებს საარყვავი მიწის ფართობების გადიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობათა, სათბურებისა და კვალ-სათბურების შენებლობის სამუშაოები.

ნაკლოვანებანია საფეხუროვანი ნათესების ორგანიზაციაში, შეზღუდულია საადრეო ჯიშის ბოსტნეულის რგვა. ასე რომ მისი დიდი ნაწილი მომხმარებლებს უაღრესად მოკლე პერიოდში მისდით.

სერიოზული ხარვეზებია კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის შესყიდვის ორგანიზაციაში. ცეკავშირის ზოგიერთი დამამზადებელი ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მთელი მოწეული პროდუქციის მიღებას. კარტოფილის შესყიდვის ვეგმა 1973 წელს შესრულდა 72 პროცენტით, ბოსტნეულისა — 94 პროცენტით. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ნიერის, კიტრისა და სტაფილოს დამზადება.

ფაქტები, როცა პროდუქცია დიდხანს ინაბოდა დამამზადებელ პუნქტებში, კარგავდა სასაქონლო სახეს და ფუჭდებოდა, ბოლო ხანებში ფართოდ გავრცელებული. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ბორჯომის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბაღდათის, ონის, ამბროლაურის, ლაგოდეხის, ყვარლის, ბოლნისის, ხაშურის, ზესტაფონის, ჩოხატაურის, ფოთის, ზუგდიდის, ანაკლიის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ფშავ-ხევსურეთ

გავგზარდოთ კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დამგზავდება, გავაუმჯობესოთ მათი ვაჭრობა

(დასასრული)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს თავიანთ დადგენილებაში დაავალეს ამაღლონ ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებლობა კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისა და დამზადების გაუმჯობესების საქმეში, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა 1974 წელს შეასრულონ სახალხო-სამეურნეო გეგმით დადგენილი დავალებანი და ძირფესვიანად გაუუმჯობესონ ხალისა და ბოსტნეულის ვაჭრობის ორგანიზაცია. ამ მიზნით საჭირო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუწესდეს ბოსტნეული, ბოსტნეულისა და ეფექტანი გამოყენება, შენახვის ოპტიმალური რეჟიმების დაცვა; ფართოდ უნდა განვითარდეს კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის შენახვის პროგრესული ფორმები კონტეინერების გამოყენებით.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ხილ-ბოსტნეულის თვითმომსახურების მაღაზიების ქსელის მნიშვნელოვან განვითარებას და ხილ-ბოსტნეულის ბაზებში კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დასაფასოებელი ნაკადური მექანიზებული ხაზების დადგმას. სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების უშუალო კავშირურთიერთობის გაფართოებას პრინციპით „მინდორი-მაღაზიაᲐ, რათა მათ ხილი და ბოსტნეული მიიღონ უშუალოდ მეურნეობებში და უზრუნველყონ პროდუქციის კონტეინერებით გადაზიდვის ფართო დანერგვა.

პროდუქციის მასობრივი შემოტანა ბოსტნეული უნდა დაიბარებინონ და რაიწყონ გამართულ ტერაში, მკაცრი კონტროლი დაუწესონ პროდუქციის მიწოდებას მოქმედი სახსტანდარტების შესაბამისად. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ქუთაისის მებოსტნეობა-შერძეული ბ ი ს საბჭოთა მეურნეობების ტრესტს დაევალა უზრუნველყოს ქალაქების ხილით-ბოსტნეულით (ქინძი, ობრახუში, კამა და სხვ.) ადრე გაზაფხულზე (მარტი-აპრილი) და გვიან შემოდგომაზე (ნოემბერი, დეკემბერი), საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს წინადადება მიეცა პრაქტიკულად დაეხაროს ქუთაისის ტრესტს აღნიშნული დავალების შესრულებაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობის კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა შესაბამისად დაევალათ, შეადგინონ ყოველთვიური გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვით საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა სავაჭრო ორგანიზაციებს უნდა მიწოდონ კარტოფილი და ბოსტნეული ასორტიმენტით, მათ შორის ქალაქების თბილისს, რუსთავსა და ქუთაისისათვის, და წარუდგინონ იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა უნდა უზრუნველყონ კარტოფილისა და ბოსტნეულის მიწოდების ყოველთვიური გეგმა-გრაფიკის შესრულება.

დადგენილია, რომ 1 ივლისამდე და 1 ოქტომბრის შემდეგ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პამიდვრისა და კიტრის მთელი მოსავალი უნდა ჩაბარონ მხოლოდ სავაჭრო ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ 1974 წელს საქსპლოატაციოდ გადასცენ 150 ათასი კვადრატული მეტრი სათბურები ბოსტნეულის მოსაყვანად, აქედან 60 ათასი კვადრატული მეტრი — კოლმეურნეობებში, 60 ათასი კვადრატული მეტრი—საბჭოთა მეურნეობებში და 30 ათასი კვადრატული მეტრი — ცეკავშირის სისტემაში, დაადგინონ ქალაქების თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ქსელში სასათბურო მეურნეობათა პროდუქციის მიწოდების გეგმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას დაეფალა დაარქაროს კოლმეურნეობებს ბენზინებისათვის სათბურების მშენებლობა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალათ წლის ბოლომდე უზრუნველყონ რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების 1973 წლის 22 ივნისის დადგენილების შესრულება ქალაქ თბილისის ყველა რაიონში ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის რეალიზაციის დიდი მეთაური მაღაზიების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად ორი წლის მანძილზე ამ ქალაქებში უნდა აიშენოს საწყობები საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობით სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახად.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დადგენილი ვადაში ლილოს ხილ-ბოსტნეულის საცავის მშენებლობის დამთავრება. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაევალა დროულად მთამზადოს კადრები და უზრუნველყოს ამ ობიექტის საფეხმოქმედებლად შესაბამისი სპეციალისტებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადება მიეცა უახლოესი წლების გეგმის პროექტში გათვალისწინოს ქალაქებში თბილისა და ქუთაისში ხილის, ბოსტნეულისა და სხვლის სეზონში საჭიროა რესპუბლიკის ქალაქებში ფართოდ დაინერგოს ხილისა და ბოსტნეულის დატარებითი ვაჭრობა და ქუჩებში, სკვერებსა და მოედნებზე წინასწარ შემუშავებული დისლოკაციით ვაჭრობა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნეს ამ ობიექტების სანიმუშო სანიტარიული მდგომარეობა.

მოსახლეობის შეუფერხებელი მომარაგების მიზნით ქალაქ თბილისში უნდა მოეწყოს საცავი ბოსტნეულის მიღებისა და ხანმოკლე შენახვისათვის, ამასთან დანსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროდუქციის დაცვა-შენახვას, ხარისხსა და სასაქონლო სახეს.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად წინადადება მიეცათ განიხილონ და დაამტკიცონ საუკეთესოებული და საფირმო ხილ-ბოსტნეულის მაღაზიების ქსელის განვითარების 1974-1975 წლების გეგმა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალათ წლის ბოლომდე უზრუნველყონ რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების 1973 წლის 22 ივნისის დადგენილების შესრულება ქალაქ თბილისის ყველა რაიონში ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის რეალიზაციის დიდი მეთაური მაღაზიების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად ორი წლის მანძილზე ამ ქალაქებში უნდა აიშენოს საწყობები საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობით სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახად.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დადგენილი ვადაში ლილოს ხილ-ბოსტნეულის საცავის მშენებლობის დამთავრება. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაევალა დროულად მთამზადოს კადრები და უზრუნველყოს ამ ობიექტის დაკომპლექტება შესაბამისი სპეციალისტებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადება მიეცა ეახლოესი წლების გეგმის პროექტში გათვალისწინოს ქალაქებში თბილისა და ქუთაისში ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის მისაღები, დასახარისხებელი, გადასამუშავებელი და გადასაზიდი საწარმოების მშენებლობა, ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს— უზრუნველყონ ამ ობიექტების მშენებლობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დროული შედგენა.

ბოსტნეულზე, კარტოფილზე, ლობიოსა და კაკალზე მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას დაევალათ 1974 წელს სხვა რესპუბლიკებიდან შემოზიდონ ისინი საჭირო რაოდენობით.

ცეკავშირის გამგეობა ვალდებულია უზრუნველყოს დამზადების ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესება. არ დაუშვას დამამზადებელ პუნქტებში პროდუქციის დაყოვნებისა და გაფუჭების, არასტანდარტული და უხარისხო პროდუქციის მიღების ფაქტები, მუდმივი კონტროლი დაუწესოს მწარმოებლისაგან მომზმარებლამდე დამზადებული პროდუქციის მიწოდების დროს მის დაცვა-შენახვას.

საჭიროა მიღწეულ იქნეს გამოყოფილი ფონდების თანაბარზომიერი დასაკმარებლება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საერთო საკავშირო მომზარებლებისათვის მაღალხარისხოვანი ხილ-ბოსტნეულის პირველ რიგში მიწოდებას, მკაცრად ვალდებულთ თვალი კონტრაქტაციის ხელშეკრულებათა შესრულებას სახსტანდარტების მოთხოვნებისა და ტექნიკური პირობების შესაბამისად;

1974 წელს რუსეთიდან მებოსტნეობა-მერძეულეობისა და გარდაბნის ხილ-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობებში უნდა შეიქმნას სანიმუშო დამამზადებელი პუნქტები თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ექსპერიმენტის სახით უნდა მოგვარდეს სპეციალური გაუმჯობესებული ტარის წარმოება ბოსტნეულის გადასაზიდად ქალაქების თბილისისა და რუსთავისათვის დროებითი რესპუბლიკური ტექნიკური პირობების საფუძველზე, 1974 წლის 1 აგვისტომდე. მარნეულის რაიონში მოეწყოს დაფასოებული ხმელ სუნელ-საწელებლების წარმოება.

საერთო-საკავშირო ფონდში კომბოსტოს დროულად და თანაბარზომიერად მიწოდების ორგანიზაციისა და უზრუნველყოფის მიზნით მისი გაგზავნა დაეკისროს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს.

იმისათვის, რომ გადიდდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაინტერესება ხარისხიანი პამიდვრის წარმოებასა და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიწოდებაში, მიღებულია საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება რესპუბლიკაში მოქმედი პამიდვრის შესასყიდი ფასების ფარგლებში დიფერენციალური შესასყიდი ფასების დაწესების შესახებ, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ ფინანსთა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეურნეობების, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტებთან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა გამონახოს შესაძლებლობანი იმისათვის, რომ 1974 წლის 1 მაისამდე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამოუყოს 16 ავტოფურგონი მისთვის გამოყოფილი ავტომანქანების ფონდის ანგარიშში.

საქართველოს სსრ მთავარმართველობა ვალდებულია 1974 წელს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამოუყოს 15 მოტოროლერი.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს სისტემატური კონტროლი სახელმწიფოსათვის მისაყიდი, ფრეთვე ხანგრძლივი დროით შესანახი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხისადმი.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ვალდებულნი არიან დროულად, ტვირთის წარდგენისანავე მიაწოდონ ეზოთერაული ვაგონები და სატვირთო ავტოტრანსპორტი დამამზადებელ ორგანიზაციებს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც კარტოფილისა და ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის ფონდები აქვთ.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაევალა შექმნას სპეციალური ავტოკოლონა, რათა შეუფერხებლად გადაზიდოს ხილ-ბოსტნეულის პროდუქცია მასლინბრივი ტვირთზიდვის სეზონში.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს წინადადება მიეცა სისტემატიურად ადევნოს თვალი მოსავლის აღებას, პროდუქციის დამზადებისა და გაგზავნის მომდინარეობას მისი ხარისხის გათვალისწინებით, რომ რაციონალურად იყენებდნენ დასატვირთ-გადმოსატვირთ მექანიზმებს, ავტოტრანსპორტს, რკინიგზის ვაგონებს, რომ სავაჭრო ორგანიზაციებს უზრუნველყოფდნენ კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილითა და ხანგრძლივი დროით მათ შენახვას.

იმისათვის, რომ ზამთრის პერიოდში უკეთ მოამარაგონ ქალაქების, კურორტებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა, აგრეთვე სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციები კარტოფილითა და ხილ-ბოსტნეულის პროდუქციით, დადგენილია 1974 წლის მოსავლის კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, თესლეული ხილისა და კაკლის ხანგრძლივი დროით შენახვის გეგმა.

გეგმა ითვალისწინებს შეინახონ 38 ათასი ტონა კარტოფილი, 25.200 ტონა ახალი ბოსტნეული, აქედან 9.450 ტონა კომბოსტო, 10.500 ტონა ხახვი, 460 ტონა ნიორი, 2.550 ტონა ჭარხალი, გარდა ამისა გათვალისწინებული დამზადდეს 1.835 ტონა კომბოსტოს მწნილი, 1.700 ტონა პამიდვრის, კიტრისა და სხვა ბოსტნეულის მწნილი.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო ვალდებულია 1974 წელს ხანგრძლივი დროით შეინახოს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიწოდების აღგარიშში 1.000 ტონა ყურძენი და 1.500 ტონა თესლეული ხილი, ამასთან მათი შენახვის ხარჯები უნდა დაეკისროს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი ყურძნისა და ხილის შენახვასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დაფარვის წყაროების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიიჩნიათ, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, დამზადებისა და ვაჭრობის სამინისტროების, ცეკავშირის გამგეობის, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაადიდონ კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის წარმოება და დამზადება და გაუმჯობესონ ამ პროდუქტების ვაჭრობა, რაც ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. (საქინფორმი).

ᲗᲕᲚᲘᲡ
ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ
ᲮᲘᲚᲘᲡ
ᲓᲦᲔ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ
ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘᲡ
ᲓᲦᲔ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება დღითიდღე ფართოვდება და ძლიერდება. ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები დიდი მოვლენაა. სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების — საბჭოების ფორმირების პროცესში განსაკუთრებით ნათლად ლირდან ვლინდება სოციალისტური დემოკრატიის ძალა.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე არჩევენ დეპუტატებს ფარული კენჭისყრით, თავისუფლად გამოთქვამენ თავიანთ ნება-სურვილს, ამტკიცებენ, რომ თავიანთი ქვეყნის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი არიან.

არჩევნებისათვის მზადება ყველაზე მიმდინარეობს დებულების შესაბამისად, არჩევნების დებულებით გათვალისწინებული ვადებისა და წესის ზუსტად დაცვით. დამთავრდა ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიისათვის მზადების ერთ-ერთი ძირიადი ეტაპი: მშრომელებმა უკვე დასასრულს თავიანთი კანდიდატები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობანი. კომისიათა შემადგენლობაში არის 517 კაცი, მათგან 165 — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში და 352 კაცი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში. ესენი არიან მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და თაობის წარმომადგენლები: მეტალურგები, მეშახტეები, მაღაროელები, ქიმიკოსები, ავტომობილმშენებლები, მეჩაიეები, მევენახეები, მეციტრუსეები, მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მოღვაწეები, რომლებიც დაასახელეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საზოგადოებებმა და მშრომელთა კოლექტივებმა, ღირსეული, ენერგიული, შრომისმოყვარე ადამიანები, რომლებსაც ხალხმა ვიანდო მისი სახელით უსაზღვრო ნდობა. ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენისათვის მზადებას, როგორიც არის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში დაასკენეულია მუშები და კოლმეურნეები შედგენენ 53,9 პროცენტს, ხოლო ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში — 52,8 პროცენტს. მუშები და კოლმეურნეები ბევრ კომისიას თავჯდომარეობენ. კავშირის საბჭოს არჩევნების საოლქო კომისიებში 50,3 პროცენტს შეადგენენ ხალხ წევრები და წევრობის კანდიდატები და 49,7 პროცენტს — უპარტიოები. ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებში კი ხალხ წევრები და წევრობის კანდიდატები შეადგენენ 49,7 პროცენტს, უპარტიოები — 50,3 პროცენტს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის მოსაცემები თვალსაჩინოდ მოწმობენ მათს ნამდვილად დემოკრატიულ ხასიათს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი მშრომელთა კრებები ყველაზე გადაიქცა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ერთიანობის დემონსტრაციად, რომლებიც მხურვალედ ისწრაფიან კიდევ უფრო ფართოდ გაანახლონ ბრძოლა, რათა წარმატებით შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, დეკემბრის პლენუმის დადგენილება, ხუთწლედის მეოთხე, გამმსაზღვრელი წლის დავალებანი, ყოველი დონისძიებით დაუჭირონ მხარი პარტიისა და მთავრობის აქტიურ, ინიციატივიან საერთაშორისო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს პაზრიკურ ძვრებს მსოფლიო ვითარებაში. (საქინფორმი).

ᲮᲘᲚᲓᲝ ᲐᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲔᲑᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ

წარმატებებში, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს გასულ წელს, თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს საქართველოს რკინიგზელებმაც. 1973 წლის გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების დიდი ჯგუფი. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გაიმართა ჯილდოების საზეიმო გადაცემა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. ხ. ძოწენიძემ აღნიშნა წარმატებანი, რომლებიც რკინიგზელებმა მოიპოვეს გასულ წელს, მთავრობის ჯილდოები მიუღოა მათ და უსურვა ახალი წარმატებანი მუშაობასა და პირად ცხოვრებაში. (საქინფორმი).

საქართველოს ფილოსოფოსთა საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე

თბილისში გაიმართა სსრ კავშირის ფილოსოფიის საზოგადოების საქართველოს განყოფილების დამფუძნებელი კრება.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ი. აბაშიძემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა გააკეთა მოხსენება „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის აქტუალური პრობლემები და ფილოსოფოსთა საზოგადოების ამოცანები“.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ფრანგიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი გ. თევზაძე, საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რ. ნათადძე, საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აფაქიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი მეცნიერული ინსტიტუტის ფილოსოფიური კვლევის მეცნიერული დონე, — უფროსი საქინფორმის კორესპონდენტს სსრ კავშირის ფილოსოფოსთა საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბოჭორიშვილმა. (საქინფორმი).

□ სიახლენი სასოფლო მეშენებლობაში □ მეშენებლობის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები სოფლად □ ნაკლოვანებები არის, უნდა გამოსწორდეს!

ᲕᲐᲨᲔᲜᲝᲗ ᲡᲐᲣᲕᲘᲚᲘᲣᲕᲘᲚᲝᲓ!

Ი. ხარატიშვილი,

საქართველოს სსრ სახელმწიფო მშენებლობის მინისტრი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღიდანვე დიდი ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობის აღდგენასა და მის შემდგომ განვითარებას. ეს კი დიდი მოცულობის კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვდა. ამ მიზნით 1921-1970 წლებში სახელმწიფო და სოკოლმეურნეო სასესრებიდან დაბანდებულ იქნა 3.100 მილიონი მანეთი, რაც სახალხო მეურნეობაში საერთო კაპიტალური დაბანდების 21,5 პროცენტს შეადგენდა. სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებანი განსაკუთრებით გაიზარდა მეცხრე ხუთწლედში, მათ უნდა შეადგინონ 1.883 მილიონი მანეთი, ანუ საერთო კაპიტალური დაბანდების 35,3 პროცენტი. ეს კი ომაზე მეტია, რაც დაბანდებულ იქნა წინა ორ ხუთწლედში ერთად.

რესპუბლიკაში სასოფლო მშენებლობას ამჟამად ძირითადად აწარმოებს საქართველოს სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, ხოლო კოლმეურნეობები გაერთიანება „მთაარკოლმშენი“.

საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებისათვის მიმდინარე წელს გამოყოფილი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობიდან სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციები ასრულებენ 71,2 პროცენტს, კოლმეურნეობები 18 პროცენტს.

ამჟამად ჩვენი სამინისტროს სისტემაში რვა სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი და 75 პირველადი ორგანიზაციაა; მათ ემსახურება ტრესტი „საქსოფლმშენინდუსტრია“, „საქსოფლმშენკომპლექტი“ და „საქორგტექსოფლმშენი“, ტრანსპორტისა და მექანიზაციის სამმართველება. სულ სისტემაში მუშაობს 17 ათასი მუშა-მოსამსახურე.

შარშან სამინისტროს კოლექტივი თავისი მაჩვენებლებით საკავშირო სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში პირველ ადგილზე გამოვიდა არა მარტო გეგმების შესრულების საქმეში, არამედ სოციალისტური ვალდებულების შესრულებაშიც.

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საბჭოთა სამეშაოების გეგმა შესრულებულია 103,5 პროცენტით, მათ შორის საკუთარი ძალებით — 104 პროცენტით. ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 115 პროცენტს შეადგენს. ასევე წარმატებით სრულდება გეგმები მრეწველობის დარგშიც.

მიმდინარე ხუთწლედის სამ წელიწადში რესპუბლიკაში დიდი სამშენებლო სამუშაოები შესრულდა მეფრინველეობის, მეცხოველეობის და მებოსტნეობის შემდგომი განვითარების ხაზით. მოკლე დროში აშენდა და სარეკონსტრუქციოდ გადაეცა მეფრინველეობის ფაბრიკები გამარჯვებაში, კოდაში, თერჯოლაში, ბაღუმში, ინდაურის ფაბრიკა ნორიოში და სხვა მრავალი ცალკეული ფერმა. გარდა ამისა აშენდა მერძეულეობის კომპლექსი თელეთში 960 ძროხაზე; აქ ყველა ტექნოლოგიური პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარაში აშენდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასაზრდელი კომპლექსი 2.160 სულისათვის. სოფელ ეიორგიწმინდის (საგარეჯოს რაიონი) შეღორეობის კომპლექსის პირველი რიგი 12 ათას სულზე უკვე ჩაბარდა მწყობრში.

შემჭიდროებულ დროში აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი სასათბურე მეურნეობის პირველი რიგი (6 ჰექტარი ფართობით) კრწანისში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი გადამუშავების საწარმოები — ჩაის ფაბრიკა კასპში, ბარლებში, გალში, ხუცუბანში და აბაშაში, საკონსერვო ქარხანა ადიგენში და სამტრედიაში, ყველის ქარხანა განძაში და გორელოვკაში, ღვინის ქარხნა მაიაკოვსკში, რძის ქარხანა სამტრედიაში და გურჯაანში, ძეხვის ფქვილის ქარხანა ტიბანში, პურის ქარხნები სამტრედიაში და ცხაკაიაში და საწარმოო დანიშნულების სხვა მრავალი ობიექტი. მარტო მიმდინარე ხუთწლედის სამ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლები 20 ათასი მოსწავლისათვის, 130 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები.

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლექტივმა მიმდინარე წელს უნდა შეასრულოს 17 პროცენტით მეტი სამუშაოები, ვიდრე წარშან. ვადაზე ერთი წლით ადრე უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მეორე რიგი 2 მილიონი ბროილერისათვის, ექვსი თვით ადრე უნდა დამთავრდეს ეიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის მეორე რიგი 12 ათასი სული ღორისათვის, ჩაის ფაბრიკა შროშაში, ორამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკა 200 ათასი კვერცხმდებელი ქათმისათვის, საკოლმეურნეოთაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკები თიანეთსა და წითელწყაროში, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კომპლექსები მარტყოფსა და სართიჭალაში, სასათბურო მეურნეობა კრწანისში, რომელიც 6 ჰექტარს დაიკავებს, მეფრინველეობის დამატებითი სიმძლავრეები 50 ათას კვერცხმდებელი ქათმისათვის, კარტოფილის, ხილის, მარცვლეულის და მინერალური სასუქების საცავები და სხვა მრავალი. დაიწყო რესპუბლიკაში უდიდესი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასაზრდელი კომპლექსის მშენებლობა წნორში და მეფრინველეობის ფაბრიკა-რეპროდუქტორი ცხაკაიაში, შენდება სოფლად 60 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები, დიდი რაოდენობით სკოლა და სხვადასხვა მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები.

საქართველოს სასოფლო მშენებლობაში ახალი მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენება პირველად კოდის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე დაიწყო. ამ ფაბრიკის ძირითადი შენობების — საფრინველების კედლები მსუბუქი ბეტონის დიდი ზომის საკედლე პანელებით აშენდა. ასეთივე პანელებით ხორციელდება გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობა. ორამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობაზე გამოყენებულია მსუბუქი ასბოცემენტის დაბაზებული კედლების და გადახურვის პანელები, გამსუბუქებული 18 მეტრიანი ლითონის ფერმები. ორამჩირეში საფრინველებზე რკინაბეტონის კონსტრუქციები თითქმის აღარ არის გამოყენებული. ამ ღონისძიებამ თითქმის სამჯერ შეამცირა შენობის წონა, შესაბამისად შემცირდა სატრანსპორტო ხარჯები და საგრძნობლად გამოათავისუფლა მუშახელი.

ამავე დანიშნულების შენობებში შემსუბუქდა რკინაბეტონის სვეტებისა და გადახურვის ფილების კონსტრუქციები და სხვ.

ამავე ფაბრიკ

გმირთა ოქროს ვარსკვლავები

40 წლის წინათ, 1934 წლის 16 აპრილს, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით დაწესებულ იქნა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მას შემდეგ ეს უმაღლესი ჯილდო მიენიჭა საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების თორმეტი ათასზე მეტ მოქალაქეს.

1934 წლის თებერვალში ჩუკოტკის ზღვის მძლავრი ყინულებით გასერსილი საბჭოთა გემი „ჩელიუსკინი“ ჩაიძირა. ღია ცის ქვეშ დარჩა ასზე მეტი ადამიანი, რომელთა შორის იყვნენ მოხუცები, ქალები, ბავშვები. ხომალდის მარაგიდან მოხერხდა მხოლოდ მცირეოდენი პროდუქტების, მედიკამენტებისა და თბილი ტანსაცმლის გადარჩენა. უდაბური კუნძული კი ძალიან შორს იყო. ახლო დასმარების იმედი არ იყო. მოდრეიფე ყინულის ველს, რომელზეც გაშლილ იქნა ბანაკი, ბზარები უწინდებოდა, რაც ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრებოდა.

საზღვარგარეთის გაზეთები წინასწარმეტყველებდნენ მორიგ კატასტროფას არქტიკაში. და როცა ჩაძირული ხომალდიდან გადმომსხდართა დაღუპვა თითქოს უკვე გარდაუვალი ჩანდა, მთელ მსოფლიოს მოედო დამაბიედებელი ამბავი. საბჭოთა მფრინავების მვიდეული მთავრობის კომისიის ბრძანებით თავისი მფრინავი გაგზავნეთ ბარეში ავიდა და გაჭირვებაში ჩავარდნილთა გადასარჩენად გაემართა. ფრენა მოუხდათ უკვალავი, იქ დროისათვის ძლიერ მორეული მარშრუტებით, რაც უკვე თავისთავად დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მაგრამ მამაცთა შეიდეული არ შემდრკალა. მფრინავებმა შეასრულეს თითქოს შეუძლებელი რამ, დასვეს მანქანები ხორგებით ყინულებში. რამდენიმე რეისით მათ დიდ მიწაზე გადაიყვანეს „ჩელიუსკინის“ ყველა მეზავრი და ეკიპაჟი, რითაც ნამდვილი გმირობა ჩაიდინეს.

1934 წლის 16 აპრილს კი სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დააწესა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ჩელიუსკინელთა გადარჩენის მონაწილე შვიდ მამაც მფრინავს — სიგიზმუნდ ლევანევსკის, ანატოლი ლიაპიდევსკის, ვასილ მოლოკოვს, ნიკოლოზ კამანინს, მავრიკი სლეპნიოვს, მიხეილ ვოდოპიანოვს და ივანე დორონინს პირველებს მიკუთვნათ წარჩინების ეს მაღალი ხარისხი. მათს გიმნასტიორკებზე ლენინის ორდენების ვეკრდილი აციფდნენ ხუთქიმიანი ოქროს ვარსკვლავები.

მას შემდეგ საკმაოდ ბევრმა წელმა განვლო. ჭეშმარიტად მასობრივი გახდა საბჭოთა ადამიანების გმირობა დიდი სამამული ომის წლებში. საბჭოთა პატრიოტების გმირობა ფაშიზმთან სასტიკ ბრძოლებში თვითმფრინი ან შემთხვევითი მოვლენა რიდი იყო. ისინი იყო შედეგი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეთა აღზრდისა კომუნისტური იდეალებისადმი უანგარო ერთგულების და სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით. მარტო დნეპრის გადალახვის დროს გამოჩენილი გმირობისათვის ორი ათასზე მეტი ჯარისკაცი, სერჟანტი, ოფიცერი და გენერალი დაჯილდოვდა წარჩინების უმაღლესი ხარისხით. სულ კი ომის წლებში ამ მაღალი წოდებით აღინიშნა 11.500-ზე მეტი მეომარი, პარტიზანი და იატაკქვეშა მუშაკი, 110 კაცი ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოებულია ორჯერ. სამეზის საბჭოთა კავშირის გმირება გახდნენ საპაერო იერიშების სახელგანთქმული ოსტატები ალექსანდრე პოკრიშკინი და ივანე კოჟედუბი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ლეგენდარული მარშალი სემიონ ბუდიონი. გამოჩენილი საბჭოთა მხედართუფროსის საბჭოთა კავშირის მარშალ გიორგი ჟუკოვის მკერდს აშშვენებს ოთხი ოქროს ვარსკვლავი.

მფრინავ-გამანადგურებელმა ალექსი მარესიევმა, რომელმაც მძიმედ დაჭრის შედეგად ორივე ფეხი დაკარგა, თავის არსებაში ისეთი ძალა და ვაჟკაცობა პპოვა, რომ მწყობრში დაბრუნებულიყო და კვლავ მიეღო მონაწილეობა ბრძოლებში, ჩამოეგდო მტრის თვითმფრინავი, სნაიპერმა ლიუდმილა პავლიჩენკომ განვლილ ომში სამასზე მეტი ჰიტლერელი მოსპო. დაკითხვისას ფაშისტ ჯალათების წინაშე არ შედრკა ქვეითი იური სმირნოვი, რომელიც ცოცხლივ ჯვარს აცვეს.

ლეგენდარული სიმტკიცე გმირი პანფილოველებისა, რომლებმაც უკან არ დაუხიეს ტანკების ზვავის წინაშე, ჭეშმარიტად უმაგალითოა. თვითეულ მებრძოლზე ხომ თითქმის სამასი შეჯავშნული მანქანა მოდიოდა.

ბევრმა საბჭოთა მეომარმა გაიმეორა გმირობა ალეკსანდრე მატროსოვისა, რომელმაც თავისი სხეულით დაფარა ფაშისტთა ძელმიწური წერტილის ამბრაზურა, და ნიკოლოზ გასტელოსი, რომელმაც თავისი ალმოდებული ბომბდამშენი მიმართა მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის კონცენტრაციის ადგილზე. ტანკისტი ვალდემარ შალანდინი ალმოდებული ტანკიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე უშენდა ცეცხლს მტერს. ჩრდილოეთის ფლოტში ქუხდა წყალქვეშელის ნიკოლოზ ლუნინის სახელი. მან თავისი ეკიპაჟით დაატორპედა ფაშისტთა სასაზო გემი „ტრიპიცი“ და ჩაძირა მტრის 17 ხომალდი.

სამუდამოდ დარჩება ადამიანთა ხსოვნაში თავდადებული პარტიზანების ზოია კოსმოდემიანსკაია, ალექსანდრე ჩეკალინის, ელისაბედ ჩაიკინას გმირობა. დაუვიწყარია მამაცი კომკავშირელების ოლეგ კოშევოის, სერგეი ტიულენინის, ლიუბოვ შევცოვას და კრასნოდონის სხვა გმირთა სახელები.

ნორჩი პიონერები კი სამართლიანად ამაყობენ თავიანთი თანატოლებით: ლიონია გოლიკოვით, ვალია კოლიკოთ, ზინა პორტნოვათი, მარატ კაზეით და ბორია ცარიკოვით... მათ მაღალი წოდება მიენიჭათ გმირობისათვის, რომლის ჩადენა ყველა მოზრდილს როდი ძალუძს.

გმირის ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოებულ მეომართა შორის ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის წარმომადგენლები არიან. ეს დიდი პატივი ხვდათ საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენლებსაც, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ საბჭოთა მეომრების მხარდამხარ. ესენი არიან სლოვაკი იან ნალეპკა, ბულგარელი ვოლკან გორანოვი, პოლონელი იულიუშ გიუნერი, ფრანგი ალბერტ მარსელი, იტალიელი პრიმო ჯიბელი, გერმანელი ფრიც შმენკელი და სხვები. საბჭოთა კავშირის გმირთა სახელოვან ოჯახს ეკუთვნიან გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები ფიდელ კასტრო, იანიშ კადარი, ლუდვიგ სვობოდა...

ოქროს ვარსკლავებით შემკობილია მოსკოვის, ლენინგრადის, ვოლგოგრადის, კიევის, სევასტოპოლის, ოდესის, ნოვოროსიისკის, ქერჩისა და ბრესტის დროშები. ამ ვარსკვლავებით აღნიშნულია გმირი ქალაქების ყველა დამცველთა კოლექტიური გმირობა დიდი სამამულო ომის დროს.

ომისშემდგომ დროს მსოფლიო მოწმე გახდა კოსმოსის დაწყებული შტურმისა. სამყაროს სივრცეებში პირველმა შედგა ფეხი იური გაგარინმა. იგი საბჭოთა კოსმონავტი გმირების სახელოვანი ოჯახის მამამთავარი გახდა.

საბჭოთა კავშირის გმირების მძლავრი რაზმი განუწყვეტლივ იზრდება. ომისშემდგომ დროს იგი შეავსეს გამომცდელმა მფრინავებმა ვალენტინ კოვალიოვმა, გიორგი მოსოლოვმა, ვლადიმერ ილიუშინმა და სხვებმა. ფართოდ ცნობილია ოკეანეთა სიღრმეების დამპყრობთა მრავალი შორეული ლაშქრობის მონაწილე წყალქვეშა ნავების ეკიპაჟების წევრთა გმირობა.

ამ თავდადებულ ადამიანთა მამაცობითა და გმირობით ამაყობს ყველა საბჭოთა ადამიანი. გმირთა სახელები ეწოდა ჩვენს დღეებში ბევრ ქუჩას, ქალაქს, სოფელს, კულტურის სასახლეს, პარკს, საწარმოო ბრიგადას, პიონერთა რაზმს, სკოკანთ ჯგუფს. ბევრი გმირი მეომარი, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ფაშიზმთან ბრძოლებში, სამუდამოდ ჩარიცხულია სამხედრო ქვეანაყოფთა სიებში. ბევრ მათგანს სამშობლოში დადგმული აქვს ძეგლები, ბრინჯაოს ბიუსტები და მემორიალური დაფები.

გმირთა მაგალითზე იზრდება კომუნიზმის მშენებელთა ახალგაზრდა თაობა. საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო შვილთა გმირობა სამუდამოდ იცოცხლებს ხალხის მადლიერ ხსოვნაში.

იური ბარანოვი.

(სახალი ამბების საგენტო)

სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირები (მარცხნიდან): ბორის ფულუკიძე, ალექსანდრე სოგანიკოვი, დავით ბაძრაძე, ვლადიმერ ნანეიშვილი, ვლადიმერ ჯანჯღავა, კირილე უალება, იაროსლავ იოსელიანი.

ფოტო.

ხორციელდება პროგრამა „სოიუზ“-„აპოლონი“

საკადრისი მივიზიდვა

14 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა საბჭოთა სპეციალისტებისა და კოსმონავტების ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამით საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კოსმოსური ექსპერიმენტის მომზადებაში. ჯგუფის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის მხრივ პროგრამის ტექნიკური დირექტორი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. დ. ბუშუევი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები ა. ს. ელისეევი, ა. ა. ლეონოვი, ვ. ნ. კუბასოვი, ვ. თ. ბიკოვსკი, აგრეთვე ინჟინრები.

საბჭოთა სპეციალისტები და კოსმონავტები ამერიკელ სპეციალისტებთან და კოსმონავტებთან ერთად განაგრძობენ მუშაობას ჰიუსტონის აილოტირებული კოსმოსური ფრენის ცენტრში კოსმოსში ერთობლივი ექსპერიმენტის მომზადებისათვის.

ჰიუსტონში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, კოსმონავტი ა. ს. ელისეევი გვესაუბრა, თუ როგორ მიმდინარეობს „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამით მომზადება.

— მოკლედ თუ ვიტყვით, სავსებით ჭეშმარიტებით მოგაგონებთ, რომ დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ ექსპერიმენტს საფუძვლად უდევს დიდად ჰუმანური იდეა — კოსმოსში ადამიანის ფრენის უსაფრთხოება და პირობების შექმნა მომავალში ერთობლივი მეცნიერული ექსპერიმენტების განსახორციელებლად.

კოსმოსში „სოიუზისა“ და „აპოლონის“ შეპირაპირებისათვის საბჭოთა და ამერიკელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს და შექმნეს სხვადასხვა კონსტრუქციის საფრენი აპარატების დაახლოებისა და შეპირაპირების ერთობლივი საშუალებანი. საქმე ის არის, რომ ხომალდებზე არსებული შეპირაპირების მოწყობილობანი შესრულებულია პრინციპით „მანჭვალი-კონუსი“. თუ კოსმოსში ერთმანეთს შეხვდება „მანჭვალთან“ აღჭურვილი ორი ხომალდი ან, პირიქით, ორი კონუსით აღჭურვილი ხომალდი, შეპირაპირება შეუძლებელი იქნება, ხოლო ხომალდები ერთმანეთისათვის უსარგებლო აღმოჩნდებიან.

ახლა შექმნილია შეპირაპირების სრულიად ახალი აგრეგატი, ეგრეთ წოდებული ანდროგინული. ასეთი მოწყობილობით აღჭურვილ ხომალდს შეუძლიათ ერთმანეთს შეუპირისპირდნენ ნებისმიერი შეხამებით. კვანძის ერთობლივი ტექნიკური გამოცდის ყველაზე დიდნაშვნელოვანი ეტაპი წარმატებით დამთავრდა. შედეგებით კმაყოფილი ვართ.

მეორე რთული ამოცანა იყო ხომალდში კოსმონავტებისათვის ურთიერთხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნა. მოგაგონებთ რომ „სოიუზში“ გარემო და წნევა პრაქტიკულად დედამიწის ანალოგიურია. ამერიკის ხომალდში ატმოსფერო ასი პროცენტით ჟანგბადიანია, ხოლო წნევა თითქმის სამჯერ ნაკლებია, ვიდრე ჩვენთან. ატმოსფეროსა და წნევის პარამეტრებში სხვაობა სერიოზული დაბრკოლებაა ხომალდიდან ხომალდში ეკიპაჟების წვერთა გადასასვლელი მოდული — უფრო ზუსტად, თავისებური რაბის კამერა, რომელიც ერთიანად კომპლექსში საფრენი აპარატების შეპირაპირების შემდეგ მათ შუაში აღმოჩნდება. აქ კოსმონავტებს შეუძლიათ „აკლიმატიზება“, სანამ თავიანთ კოლეგებთან მივიღოდნენ. ატმოსფეროს წნევა ჩვენს ხომალდში ნაკლები გახდება, ეს კი ყველა კოსმონავტს საშუალებას მისცემს მივიდნენ ერთმანეთთან სტუმრად, შეასრულონ ერთობლივი მეცნიერული ექსპერიმენტები.

— ამრიგად, — განაგრძო კოსმონავტმა, — ორი მთავარი ტექნიკური პრობლემა გადაიჭრა. მიმდინარე წლის ივლისში ვარსკვლავთა ქალაქში ჩამოვლენ ამერიკელი კოსმონავტები. დაიწყება ერთობლივი წვრთნა ტრენაჟერებზე, რომელებსაც წინ უძღოდა დიდი მუშაობა. კოსმონავტებმა შეისწავლეს ხომალდების სისტემები და უნდა ითქვას, რომ ხასხებითი წარმატებით. ამას ხელი შეუწყო ერთმანეთის ენის ცოდნამ და იმან, რომ მთელი ტექნიკური დოკუმენტაცია შედგენილია რუსულ და ინგლისურ ენებზე. იმ ხომალდებში, რომლებიც 1975 წლის ივლისში გაფრინდებიან კოსმოსში, სისტემების, ტუმბლერებისა და სხვათა აღნიშვნები შესრულებული იქნება აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ასევე, უაღრესად საგულდაგულოდ ემზადებიან „სოიუზისა“ და „აპოლონის“ ხომალდების სტარტისათვის საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტები, ისინი, ვისაც ევალებათ უზრუნველყონ კოსმოსურ ექსპერიმენტს: მე უკვე ვთქვი, რომ კოსმონავტები მალე შეუდგებიან წვრთნას, ფრენის მთელი პროგრამის დამუშავებას სტარტიდან დედამიწაზე დაშვებამდე. ანალოგიურ რეპეტიციებს გაიკლიან ჯგუფებიც, რომლებიც უხელმძღვანელებენ ფრენას.

ამერიკელ კოლეგებთან მომავალი შეხვედრის დროს, თქვა დასასრულ ა. ს. ელისეევმა, ჯათალისწინებული ა. ს. ელისეევმა. ჯათალისწინებული გვაქვს განვსაზღვროთ და შევთანხმოთ უახლოესი მომავლის ამოცანები. ამ ამოცანებში მთავარ ადგილს დაიკავებს ფრენისათვის ერთობლივი წვრთნის მეთოდიკის შეშუშავება. წვრთნა მოეწყობა კოსმონავტთა გაგარინის სახელობის მოსამზადებელ ცენტრში.

კულტურული ცხოვრება

„ჯოკონდას“ პირველი გაფრენა

პარიზი, 15 აპრილი. (საკადრისი). ლეონარდო და ვინჩის საქვეყნოდ ცნობილი სურათი „მონა ლიზა“ („ჯოკონდა“), რომელიც 19 აპრილიდან გამოფენილ იქნება ტოკიოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში, ამ კვირაში ლუვრიდან იაპონიის დედაქალაქში „გაფრინდება“. აქამდე „ჯოკონდამ“ მხოლოდ ერთხელ დატოვა ევროპა—თერმეტი წლის წინათ იგი გემით გაგზავნეს გამოფენაზე შეერთებულ შტატებში.

საფრანგეთის ხელისუფალნი ახორციელებენ სიფრთხილის განსაკუთრებულ ღონისძიებებს. გადატანის დროს სურათს მოათავსებენ სპეციალურ ყალეშეუღწევ და ჩაუძირავ კონტეინერში. იგი გაისხნება ორი გასაღებით, რომელიც ლუვრის ორ მოსამსახურეს აქვს. ჰერმეტულ გარსში დაიცავენ იგივე ტემპერატურასა და ტენიანობის დონეს, როგორიც ლუვრშია. ამ კონტეინერს კი მოათავსებენ „№ 2 კონტეინერში“, რომლის კონსტრუქცია ითვალისწინებს ფრენის დროს ნორმალური ატმოსფერული წნევის შენარჩუნებას.

მთელი ამ ხნის მანძილზე „ჯოკონდას“ გაძლიერებული შეიარაღებული დაცვა ეყოლება.

კულტურული ცხოვრება

ფ. დენტი ბულგარეთში

სოფია, 15 აპრილი. (საკადისი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმ დღეს მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრი ფ. დენტი, რომელიც ბულგარეთში იმყოფება. გაიმართა აზრთა გაზიარება ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი გაფართოების შესახებ.

იმავე დღეს აქ ხელი მოაწერეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულო კონვენციას.

ქალაქის ამბები • ფაქტები

ქალაქის ამბები • ფაქტები

საკადრისი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ამერიკის შეერთებული შტატები

ტერორის წინააღმდეგ

ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია პუერტო-რიკოში დაწყებულმა ტერორის კამპანიამ. იგი მიმართულია ამ ქვეყნის პროგრესული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც კუნძულის დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ამას წინათ ულტრამემარჯვენე ელემენტები თავს დაესხნენ პუერტო-რიკოს სოციალისტური პარტიის ორგანოს „გზეთ „კლარიდადის“ რედაქციის შენობას და ააფეთქეს. პუერტო-რიკოს სოციალისტური პარტიის განყოფილებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთ ტერორისტში ამოიცნო „თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ამერიკელების“ ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი. ეს ორგანიზაცია უშუალოდ დაკავშირებულია ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან.

ნიუ-იორკში პუერტო-რიკოს მთავრობის სააგენტოს შენობასთან გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია სან-ხუანში რეაქციის თარეშის წინააღმდეგ. დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ჩიკაგოში, კლევლენდში, ბოსტონსა და სხვა ქალაქებში.

სურათზე: დემონსტრაცია ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე.

ჰაილე სელასიეს მეგზურები

ადის-აბება, 15 აპრილი. (საკადისი). ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I კვირას რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ მისი შვილიშვილი ზარა იაკობ ასფა ვოსენი ინიშნება ტახტის მემკვიდრედ.

ეთიოპიის სახელმწიფოს მეთაურმა სამართლიანად ცნო ხალხის მასების მოთხოვნები, რომ ბოლო მოეღოს უმუმეკრობას და გადაიკრას სხვა, სოციალური პრობლემებიც. მან მიუწოდა მოსახლეობას „აქტიურად დაუჭიროს მხარი“ ენერგიულ კაჩეფ მაკონენის მთავრობას.

ჰაილე სელასიე I ხატკვეთ, წინანდელი მთავრობის წევრები სამართალში მიეცემიან, თუ მათს დანაშაულს დაამტკიცებს კორუფციის ფაქტების საგამოძიებო კომისია.

ამერიკის შეერთებული შტატები

ბიუროკრატიზმი

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. საკადისის კორესპონდენტი ი. რომანცოვი გვატყობინებს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-6 სპეციალური სესიის საერთო დისკუსიის პირველი კვირა, რომელიც ნედლეულის რესურსებისა და ეკონომიური განვითარების პრობლემებს განიხილავს, გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობა ღრმად არის შეშფოთებული საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის ახლანდელი ხასიათით და კონსტრუქციულად, საქმიანად უდგება ურთიერთმისაღებ საფუძვლებზე მათი გარდაქმნის გზების ძიებას.

განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლების, უწინარეს ყოვლისა ახლანდელი სესიის მოწვევის ინიციატორის ალჟირის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჰ. ბუმედიენის გამოსვლებიდან ჩანს, რომ განვითარებად ქვეყნებს თავიანთი ლტაკი მდგომარეობის მიზეზებად მიაჩნიათ ის, რომ მათ ეკონომიკაში კვლავ ბატონობენ უცხოეთის მონოპოლიები, რომლებიც დაინტერესებული არიან მხოლოდ ხელსაყრელი მოგების მიღებით და იაფი ნედლეულის წყაროების შეძენაზეთ.

განვითარებადი ქვეყნების ინტერესების თანამიმდევრულ დამცველებად გამოდიან საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები. საბჭოთა კავშირს, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, — განაცხადა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ — მიაჩნიათ, რომ ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის სისტემის თანმიმდევრული გარდაქმნა, რომელიც წარსულის მძიმე ტვირთით არის დამძიმებული. ამ სისტემაში აუცილებელია მთლიანად აღმოიფხვრას კოლონიალიზმის გადმონაშთები და ყოველგვარი უთანასწორობა.

სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლთა სიტყვებში განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ დაძაბულობის შენელებისაკენ შემობრუნება. საერთაშორისო კლიმატის გაუმჯობესება ხელსაყრელ გარემოს ქმნის ეკონომიური ურთიერთმოქმედების ნორმალიზაციისათვის.

დისკუსიის მიმდინარეობა და მიზანმიმართულება მოწმობენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლები გენერალური ასამბლეის დარბაზში შეიკრიბნენ იმ განზრახვით, რომ შეიმუშაონ მომწიფებული ეკონომიური პრობლემების პოლიტიკური მიდგომისადმი ერთობლივი ღონისძიებანი უკლებლივ ყველა სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

ჩინეთის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა გამოიყენა დემოგოგიური და ცილისმწამებლური მონაჯორებისათვის საბჭოთა კავშირის მისამართით. პეკინის ცდები განვითარებადი ქვეყნები წაკიდოს მათ ერთგულ მოკავშირეს — სოციალისტურ თანამეგობრობას და ამით მოიბოვოს პოლიტიკური კაპიტალი წარუმატებლად დამთავრდა და დიმო თავის გამოსვლაში ბევრმა დელეგატმა.

ამერიკის შეერთებული შტატები

ლიდმნიშვნელოვანი მოვლენა

დაკაა, 15 აპრილი. (საკადისი). ბანგლადეშის კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. დაკის ერთ-ერთ ცენტრალურ რაიონში გაიხსნა კომუნისტური აღზრდის სკოლა, რომელსაც ვ. ი. ლენინის სახელი მიენიჭა.

ბანგლადეშის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა მატიურ რახმანმა საკადისს კორესპონდენტს აცნობა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით რესპუბლიკის კომუნისტები ამ სკოლაში აიმაღლებენ თეორიულ ცოდნას, უფრო ღრმად შეისწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, სოციალისტური ეკონომიკის საკითხებს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიას.

სკოლის გახსნის დიდი ინტერესით შეხვდნენ კომპარტიის წევრები და ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა.

რესპუბლიკაში პირველი კომუნისტური აღზრდის სკოლის შექმნა, განაცხადა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ფარჰადმა, უნდა დაგვეხმაროს იდეოლოგიური და ორგანიზაციული დარგების ზოგიერთი ნაკლის აღმოფხვრაში, რომელებზეც ლაპარაკი იყო ბანგლადეშის კომუნისტური პარტიის მეორე ყრილობაზე შარშან დეკემბერში.

ამერიკის შეერთებული შტატები

საბჭოთა კოსმონავტების შეხვედრა ჰიუსტონში

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. (საკადისი). შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა ამ საბჭოთა სპეციალისტებისა და კოსმონავტების ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ „სოიუზ“-„აპოლონის“ პროგრამით საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კოსმოსურ ექსპერიმენტში. ჯგუფის შემადგენლობაში არიან: ბორის სტარკინა — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი კ. დ. ბუშუევი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები ა. ს. ელისეევი, ა. ა. ლეონოვი, ვ. ნ. კუბასოვი, ვ. თ. ბიკოვსკი, აგრეთვე ინჟინრები.

დაგეგმილი მუშაობის ფარგლებში დღეს სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები ა. ა. ლეონოვი და ვ. ნ. კუბასოვი ჰიუსტონის პილოტირებული კოსმოსური ფრენის ცენტრში (ტეხასის შტატი) შეხვდნენ ამერიკელ ასტრონავტებს. განიხილეს 1975 წლის ივლისისათვის დასახული ერთობლივი კოსმოსური ფრენის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

არჩევნები სიკიმში

დელი, 15 აპრილი. (საკადისი). დღეს ინდოეთის სიკიმის პროტექტორატში, პიმლიის პატარა სამთავროში, რომელიც ინდოეთსა და ჩინეთს შორის მდებარეობს, დაიწყო საყოველთაო არჩევნები. არჩევნები გაიმართება სამ დღეს — 15, 17 და 19 აპრილს. სულ უნდა აირჩიონ ეროვნული ასამბლეის 28 დეპუტატი, რომლის წევრებისაგან შეიქმნება აღმასრულებელი საბჭო სიკიმის მართვა-გამგეობისათვის, რომელსაც შეთვალყურეობას გაუწევს ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელი.

არჩევნები პირველი ნაბიჯია ამ ფეოდალური სამთავროს პოლიტიკური ცხოვრებაში გარდაქმნების გზაზე. არჩევნები ეწყობა სიკიმის ჩოგიალს (მმართველი) ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელსა და სამთავროს სამი ძირითადი პოლიტიკური პარტიის — ეროვნული პარტიის, ეროვნული კონგრესისა და სახელმწიფო კონგრესის. ლიდერებს შორის შარშან მაისში დადებული შეთანხმების თანახმად.

ამერიკის შეერთებული შტატები

ლაზოგვის ასმეორე ხერხი

ნიუ-იორკი, 15 აპრილი. საკადისის კორესპონდენტი ნ. სეტუსკი გვატყობინებს: სურსათის გაძვირება ამერიკის შეერთებულ შტატებში დიასახლისებს მეტისმეტად ძნელ მდგომარეობაში აყენებს. ფანქრით შეიარაღებულნი, ისინი დიდ დროს ახმარენ ხარჯების გამოანგარიშებას, რომ „როგორმე იოლად წავიდნენ.

მათს დასახმარებლად გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსმა“ გამოაქვეყნა ვრცელი ინსტრუქცია „ახერთი ხერხი, თუ როგორ დავზოგოთ კვების ფული“. თუ გაზეთს დავუჯერებთ, „პროდუქტების შესყიდვა და კვება — ეს ნამდვილი ხელოვნებაა.

ინსტრუქციაში ნათქვამია, რომ მაღაზიებში წასვლა არ უნდა ვანდოთ მამაკაცებს, ვინაიდან ისინი „მოუთმენელნი“ არიან. მაგრამ ყველაზე საშიშია საყიდლებზე ბავშვებთან ერთად წასვლა, რადგან მათ აქვთ „მავნე ჩვეულება, წარამარა მოითხოვონ ტკბილეული“.

„ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ დიასახლისებს ურჩევს აგრეთვე კვირაში ერთი დღე სრულიად არაფერი არ ჭამონ ან კიდევ დასჯერდნენ ორ-სამ ჭიქა რძეს. „ეს ხელს შეუწყობს ფიგურის შენარჩუნებას, გარდა ამისა შეგიძლიათ ერთი კვირის საოჯახო ბიუჯეტიდან დაზოგოთ 3-5 დოლარი“ — ხაზგასმა კილოთი დასძენს გაზეთი.

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემების თანახმად, უკანასკნელ თვეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვეთრად შემცირდა ხორცისა და კვების ბევრი სხვა პროდუქტის ხმარება. ეკონომისტები წინასწარმეტყველებენ, რომ წელს სურსათი კიდევ 13-14 პროცენტით გაძვირდება. გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში ბევრი შეწყვეტს „ნიუ-იორკ დეილი ნიუსის“ ყიდვასაც.

ინდოეთი

ბანგლადეშელ სტუდენტთა ბრძოლა

ბანგლადეშ, 15 აპრილი. (საკადისი). ბანგლადეშელ სტუდენტთა ბრძოლა ეროვნული ენის ოფიციალურ ენად ცნობის მოთხოვნისა და ეროვნული ენის ოფიციალურ ენად ცნობის მოთხოვნის ბრძოლა ინდოეთის ეროვნული ბურჟუაზიის ეროვნული ენის ოფიციალურ ენად ცნობ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲛᲔᲐᲪᲕᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ოსტატები თავიანთი ტრადიციულ კვირეულს აღნიშნავენ მეცხრე ხუთწლედის განმაზღვრელ წელს. ეს კი, რა თქმა უნდა, თავისებურ იერსა და სილამაზეს მატებს მხატვრის კვირეულს. საბჭოთა მხატვრები ძირითად ამოცანად ყოველთვის ისახავდნენ ისეთ სულიერ განძეულობათა შექმნას, რომლებიც დიდი მხატვრული სიძლიერითა და სიმართლით ასახავენ საბჭოთა ქვეყნის, მისი მშრომელი ხალხის ყოველდღიურ წარმატებებს.

ჩვენი პარტიის XXIV ყრილობამ დიდი ამოცანები დაგვისახა. ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა ერთობლივი საქმეა. სამამულო სახვითმა ხელოვნებამ ამ საქმეში თავისი ღირსეული სიტყვა უნდა თქვას. ხელოვნება უნდა დაეხმაროს პარტიას ახალი ადამიანის აღზრდაში. ეს არის უმთავრესი და კეთილშობილური ამოცანა, რომელიც ჩვენი ოსტატების წინაშე დგას. სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე მხატვრები მოწოდებული არიან ღრმად ასახონ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარე. სოციალისტური რეალიზმის პრინციპები ფართო შესაძლებლობებს იძლევა ყოველივე ამისათვის.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყაღმის ოსტატთა გვერდით ქართველ მხატვრებს საპატიო ადგილი უჭირავთ. ისინი ფართოდ ემბაურებიან ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებს. ბუნებრივია, ეს ძვრები თავისებურ ანარეკლს იპოვნის ჩვენი მხატვრების შემოქმედებითს საქმიანობაში. ჩვენ უნდა შევქმნათ მეგობრული, საქმიანი ატმოსფერო, რაც ყველა პირობას შეიქმნის ჩვენი სახვითი ხელოვნების წინსვლისათვის.

წელს ჩვენი მხატვრები ფრიად საინტერესო ღონისძიებებს სახავენ. მოეწყობა საინტერესო გამოფენები, მათ შორის რამდენიმე პერსონალური ყველა პირობას შექმნის ჩვენი ლოვნება უნდა დაეხმაროს პარტიას ახალი ადამიანის აღზრდაში. ეს არის უმთავრესი და კეთილშობილური ამოცანა, რომელიც ჩვენი ოსტატების წინაშე დგას. სოციალისტური რეალიზმის საფუძველზე მხატვრები მოწოდებული არიან ღრმად ასახონ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარე. სოციალისტური რეალიზმის პრინციპები ფართო შესაძლებლობებს იძლევა ყოველივე ამისათვის.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲧᲐᲚᲛᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲒᲕᲘᲠᲓᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲝᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲐᲡ. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲝ�წᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲠᲛᲐᲓ ᲐᲡᲐᲮᲝᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲐᲠᲔ. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲧᲐᲚᲛᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲗᲐ ᲒᲕᲘᲠᲓᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲝᲠᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲒᲐᲡ. ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲫᲚᲔᲕᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲑᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

Ნ. ᲯᲐᲜᲒᲘᲠᲘᲫᲔ

საკავშირო გამოფენისათვის, რომელიც შრომის თვალს მიეძღვნება. მხატვართა კავშირი ყოველნაირად ცდილობს იმ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს მუშაობაში. ვცდილობთ ავამაღლოთ და მაღალპროფესიული გავხადოთ ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი უბანი — კრიტიკა. ჩვენ გვჭირდება თუნდაც მკაცრი, მაგრამ კეთილმსურნე კრიტიკა, რომელიც თავისი პროფესიონალიზმით დახმარებას გაუწევს სახვითი ხელოვნების მოღვაწეებს. თვირიული ხასიათის შეხვედრები, გამოფენათა გარჩევა, აზრთა ურთიერთგაზიარება და, მხატვრული ნაწარმოებების ანალიზი დაეხმარება ჩვენს მხატვრებს შექმნან უფრო სრულყოფილი ნაწარმოებები.

როგორია მხატვრის კვირეულის პროგრამა? 18 აპრილს მოწვეული გვაქვს საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გაფართოებული პლენუმი

Ⲙ. ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲗᲘᲠᲐᲜᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). პარტიის თიანეთის რაიკომის სხდომათა დარბაზში ვიმართა პოეზიის საღამო, რომელიც მეიძღვნა მირზა გელოვანის ხსოვნას. საზეიმოდ მორთული სხდომათა დარბაზის კედლებს ამშვენებდა საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის, ხალხის საყვარელი პოეტის მირზა გელოვანის ცხოვრების ამსახველი ნახატერესო მასალები.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლები, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, პოეტის სიყრმის მეგობრები, ნათესავები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კომკავშირის თიანეთის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. მიდელაურმა.

მირზა გელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ საინტერესო მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა გ. ხარანაულმა.

სტუდენტი წარმოთქვეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ბოლაშვილმა, მოსწავლე თ. ბოლაშვილმა, მწერალმა ნ. ალიაშვილმა, პოეტებმა რ. მარგიანმა და ჯ. ჩარკვიანმა, მგოსნის შემოქმედებაზე ილაპარაკეს გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორმა ა. სახებლიძემ და კრიტიკოსმა კ. იმედაშვილმა.

თანამემამულე პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს გ. გოგიურმა, ა. ხაიკურმა, ჯ. გოჯიაშვილმა, ქ. ჭინჭარაულმა, ვ. ოთარაშვილმა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝᲕᲘ

17 Ა�პᲠᲘᲚᲘ სსრ „კავშირის ნაკრები პირველ საერთაშორისო მატჩს გამართავს წყვეადელ სეზონში. უფროსმა მწვრთნელმა გ. ბესკოვმა და მწვრთნელმა ა. პარამონოვმა იუგოსლავიაში გასამგზავრებლად შარარიეს მეკარეები პილგუი და რუდაკოვი, მცველები ძოძუაშვილი, ხურცილავა, ოლშანსკი, ლოვჩიკი, ბუკეიევსკი და კაპლინჩნი, ნახევარმცველები მუნტიანი, კოლტოკოვი, ვერმელეკი, ტროშკინი, ფედოტოვი, კოხკოვი, ზანაზანიანი და მაჩაიძე, თავდამსხმელები ონიშჩენკო, ბლოხინი, იშტოიანი, ყიფიანი.

ᲙᲝᲠᲒᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ

ᲞᲔᲚᲐᲒᲘᲐᲨᲘ ᲩᲔᲠᲒᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲝ ᲒᲐᲛᲑᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲬᲘᲐ